საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №748

2009 წლის 23 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის ალავერდის მონასტრის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდის ახმეტის სატყეო უბნიდან მიჩენილი უბნის (259.0196 ჰა მიწის ფართობის) გამოყოფის შესახებ

1. ,,საქართველოს ტყის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის, ,,ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის 4^1 პუნქტის, ,,სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად და მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის 2008 წლის 5 მაისის რეკომენდაციის (ოქმი№5) გათვალისწინებით:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიური და სარიტუალო ღონისძიებებისათვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს ალავერდის მონასტრის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდის ახმეტის სატყეო უბნიდან გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს ალავერდის მონასტრის მიმდებარედ, კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში, კერძოდ, ახმეტის სატყეო უბნის კვარტალ №27-ში – 259.0196 ჰა ფართობი;

გ) მიჩენილი უბნის მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობის დაზუსტება მოხდეს კოორდინატთა სისტემაში მომზადებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად;

დ) მიჩენის ვადად განისაზღვროს ოცი წელი;

ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი